გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 195

2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა №30 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. შპს „აგრო მოლმა" (ს.ნ 418476125) ნანა პეტრიაშვილისგან შეიძინა მიწის ნაკვეთი (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013) და გააერთიანა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან ს/კ 66.46.26.003.095 (გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 66.46.26.003.614).

2022 წლის აგვისტოში გორის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო გართულებული იყო მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. კომპანია შპს „აგრო

მოლი“ (ს.ნ 418476125) აქტიურად ახორციელებდა მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო და სხვადასხვა კომერციული დანიშნულების სივრცეების განთავსებასა და კეთილმოწყობას. ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება (მშენებლობის პროექტი შეთანხმების პროცესში იყო), რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №11 განკარგულებით, გორის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, რის საფუძველზეც, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2023 წლის16 იანვარს გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი“-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „აგრო მოლი“-ს მიერ უკვე დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი პროექტის შეთანხმების პროცედურა, რომელსაც სჭირდება გარკვეული პერიოდი, რის შემდეგაც უნდა მოხდეს სახანძრო სისტემის მოწყობა, რაც კიდევ ერთხელ უნდა გადაამაწმოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2020 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №30 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 26950 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.095 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების

განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**